ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N03–06/64

ქალაქი ბათუმი 26 აგვისტო 2015 წელი

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ ბათუმის მე-15 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორი **ნინო მოდებაძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს csc Batumi** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ამირან გოგრაჭაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
1.7. „გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა“ – მიმწოდებლის მიერ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი „გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა“ რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. 78 A,36 A კარტრიჯის შევსება,ჯეკი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 45 (ორმოცდა ხუთი ლარი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მომსახურების გაწევის ვადა, ადგილი და მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 06 სექტემბრამდე პერიოდი.
4.2. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის იურიდიულ მისამართზე.
4.3. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
4.4. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენლები არიან ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

4.5. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების დასახელების, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.6. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს მიწოდებული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.
4.7. თუ მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე, ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
4.8. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული მომსახურების რაოდენობა და წუნდების მიზეზი.

5. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
5.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 დღის ვადაში.
5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

6. გარანტია

6.1. მიმწოდებელის მიერ გაწეული მომსახურება იძლევა გაწეული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.
6.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს.
6.3. 6.2. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია 4.8. პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
6.5. მიმწოდებლის მიერ 6.4. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარჯების ანაზღაურება, ან ეს თანხა გამოქვითოს ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.
6.6. მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებაზე და შედგენაზე.
6.7. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების განხორციელების დროს საჭირო გახდება მშენებლობის პროექტში ცვლილებების შეტანა ან/და აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ანაზღაურების გარეშე შედგენას/შედგენის ხარჯების ანაზღაურებას პროექტანტი იღებს თავის თავზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სკოლის **დირექტორი ნინო მოდებაძე.**
7.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.7 პროცენტის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

9.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

9.4. 9.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გასწიოს მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
13.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
13.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
13.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2015 წლის 06 ოქტომბრამდე.**

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ ქალაქ ბათუმის N15 საჯარო სკოლა
6000, საქართველო, ქალაქი ბათუმი

გორგასალის ქ N160
ს/კ245429950
ს.ს. „ბითიეი ბანკი“
მფო DISNGE22
ა/ა GE71BT0360000741650001

ნინო შოდებაძე

დირექტორი

მიმწოდებელი:
შპს csc batumi
6000, საქართველო, ქალაქი ბათუმი

ზ. გორგილაძის ქ N47
ს/კ 448 386 425
ს.ს. „თიბისი ბანკი“
მფო TBCBGE22
ა/ა GE52TB7563236080100001

ამირან გოგრაჭაძე

დირექტორი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი 26 აგვისტო .2015 წელი

სსიპ ქალაქ ბათუმის N15 საჯარო სკოლის დირექტორი **ნინო მოდებაძე** ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა **2015 წლის 26 აგვისტოს N03–06/64** ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვაზე განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

.

დირექტორი ნინო მოდებაძე

№1 დანართი

№	დასახელება	დანაყოფის კოდი	ერთ. ფასი (ლარი)	რაოდენობა	მთ. ფასი (ლარი)
1	78 A კარტრიჯის შევსება	30125110	12	1	12
2	36 A კარტრიჯის შევსება	30125110	12	1	12
3	სამსუნგ კარტრიჯის შევსება	30125110	15	1	15
4	ჯეკი	30237300	0,25	24	6
	ს უ ლ				45

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #:	301
თარიღი:	2015 წლის 07 09, ორშაბათი
გადამხდელის დასახელება:	სსიპ ქალაქ ბათუმის #15 საჯარო სკოლა
ანგარიში (დებეტი):	GE21LB0121124411877000
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი:	LBRTGE22
გადასახადის გადამხდელის დასახელება:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:	
მიმღების დასახელება:	შპს CSC batumi
საიდენტიფიკაციო კოდი:	
ანგარიში (კრედიტი):	GE52TB7563236080100001
მიმღების ბანკი:	სს"თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი:	TBCBGE22
გადახდის დანიშნულება:	კარტრიჯის შევსების საფასური

ხელმოწერა: _____

_____ ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

GEL

GEL
33.00
ოცდაცამეტი GEL და 00

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 07.09.2015

ხელმოწერა:

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0194161651

2	07/09/2015

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

(დღგ-ს გადამხდელი)

3	11:54:53

დრო (საათი, წუთი)

4	შპს csc batumi	448386425
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/მირადი ნომერი

5	სსიპ ქალაქ ბათუმის #15 საჯარო სკოლა	245429950
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირების გარეშე

7	ბათუმი ზ.გორგილაძის 86

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	X

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	

ტრანსპორტირების სახე

10	X

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისამართი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება 30125110	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ღირ.*
1	სამსუნგ კარტრიჯის შევსება (სამსუნგის ტონერი)	3/1710	ცალი	1.0000	15.0000	15.0000
2	ჯეკი RJ45,ITD, UTPCat5e modular Plug 8P8C (100PCS)(ხელობით)	19/4	ცალი	24.0000	0.2500	6.0000

30237300

64

13	21 - ოცდაერთი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	07/09/2015	11:54:53
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 07/09/2015, 12:09:16

\

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. ბათუმი 07 სექტემბერი 2015 წ

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ ბათუმის N15 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი სამეურნეო ნაწილის უფროსის ნოდარ ხახუტაიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „აჭარპრესა“(შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ამირან გოგრაჭაძის სახით, ვადგენთ ამ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ შემსყიდველმა მიიღო, ხოლო მიმწოდებელმა ჩააბარა მიმდინარე წლის 2015 წლის 26 აგვისტოს №03–06/64 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი. საერთო ღირებულებით 21 (ოცდაერთი ლარი) ლარი;

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ. მიღება-ჩაბარება შედგენილი ორ ეგზემპლარად, რომელსაც ხელს აწერს მხარეები.

ნოდარ ხახუტაიშვილი
სამეურნეო ნაწილის უფროსი

ამირან გოგრაჭაძე
დირექტორი

CSC BATUMI
448386425
GEORGIA, LIMITED

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #:	307
თარიღი:	2015 წლის 09 09, ოთხშაბათი
გადამხდელის დასახელება:	სსიპ ქალაქ ბათუმის #15 საჯარო სკოლა
ანგარიში (დებეტი):	GE21LB0121124411877000
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი:	LBRTGE22
გადასახადის გადამხდელის დასახელება:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:	
მიმღების დასახელება:	შპს CSC batumi
საიდენტიფიკაციო კოდი:	
ანგარიში (კრედიტი):	GE52TB7563236080100001
მიმღების ბანკი:	სს"თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი:	TBCBGE22
გადახდის დანიშნულება:	კარტრიჯის შევსების საფასური

ხელმოწერა: _____

_____ ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

GEL
GEL
12.00
თანხა სიტყვიერად
თორმეტი GEL და 00

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 09.09.2015

ხელმოწერა: _____

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK
ბუსინესბანკინგ ინფორმაციული ბანკის მეშვეობით

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0194427450

2	08/09/2015	3	14:35:49
	თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)		დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს csc batumi	448386425	5	სსიპ ქალაქ ბათუმის #15 საჯარო სკოლა	245429950
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი		მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირების გარეშე

7	ბათუმი ზ.გორგილაძის 86
	ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)
8	X
	ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9		10	X	
	ტრანსპორტირების სახე		სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი	მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X	12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების სარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება 30125110	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	36 A კარტრიჯის შევსება (100 გრამი ტონერი)	3/36	ცალი	1.0000	12.0000	12.0000

ნომ 64

13	12 - თორმეტი ლარი და ნოლი თეთრი
	მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14		15	
	გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)		მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16		17	
	ხელმოწერა		ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	08/09/2015	14:35:49
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 08/09/2015, 15:49:01

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. ბათუმი

08 სექტემბერი 2015 წ

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ ბათუმის N15 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი სამეურნეო ნაწილის უფროსის ნოდარ ხახუტაიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „აჭარპრესა“(შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ამირან გოგრაჭაძის სახით, ვადგენთ ამ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ შემსყიდველმა მიიღო, ხოლო მიმწოდებელმა ჩააბარა მიმდინარე წლის 2015 წლის 26 აგვისტოს №03–06/64 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი. საერთო ღირებულებით12 (თორმეტი ლარი) ლარი;

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ. მიღება-ჩაბარება შედგენილი ორ ეგზემპლარად, რომელსაც ხელს აწერს მხარეები.

ნოდარ ხახუტაიშვილი
სამეურნეო ნაწილის უფროსი

ამირან გოგრაჭაძე
დირექტორი